ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ52.52220602**

თარიღი:**01/03/2022**

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54- ე მუხლის პირველი ნაწილის "ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე ნაწილის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის- ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსის - მარინე თედიაშვილის 2022 წლის 28 თებერვლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**1.** წარმოდგენილი დანართების შესაბამისად დამტკიცდეს:

ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა.

ბ) 2023 - 2026 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი.

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა.

**2.** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს დაევალოს 1 თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა.

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი).

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად.

ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომაობასთან დაკავშირებით.

ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები.

**3.** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაცული და შესყიდვების სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**5.** ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.

**6.** ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ.#4).

ავთანდილი გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი